[library stamp: ...თბილისი...]


გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძ. განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი


## დიმიტრი ყიფიანის მიცვალების გამო

### წერილი სტავროპოლიდამ

კვირას, 25-ს ოქტომბერს, დილის რვა საათზე, დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი მოკლული ჰნახეს თავის სადგურში. დღეს, 31 ოქტომბერს, დილაზე, ცხონებულის გვამი მისმა უმცროსმა შვილმა და ძმისწულებმა: მიხეილმა და ლევანმა წაასვენეს ქვიშხეთს ხმელეთით. აქაურმა ქართველებმა, ზოგიერთმა ტფილელმა სომხებმა და ბ-ნმა სალმინმა გააცილეს ეტლებით თავის დაუვიწყარის მოძმის და მეგობრის დიმიტრი ივანეს ძის გვამი ფოშტატამდე. აი რა საშინელ სანახაობას წარმოადგენდა დიმიტრი ივანეს ძე 25-ს ოქტომბერს, რვა საათზე: ცხონებული იწვა მარჯვენა გვერდზე ხელ-ფეხ შეკრული, პირი კედლისაკენა ჰქონდა ფეხები შეეკრათ პერანგის ამხანაგით, ხელები-კი ცხვირსახოცით. მარცხენა მხარე თავისა, მარცხენა ლოყის ზევითა მომეტებული ნაწილი და ცხვირის ძირი ამ მხრითვე დამტვრეული ჰქონდა რაღაცა მძიმე იარაღით, ეგონებ, თითბრის ქვასანაყით, როდინის ქვით. კაი ძალი ტვინისა ბალიშზე ეცხო. ეტყობოდა, რომ ერთბაშად იყო მოკლული მძინარე და ხელ-ფეხი მერე ჰქონდა შეკრული თვალის ასახვევად, კვალის დასაბნევად. ურჯულო მკვლელს წაუღია 97 მანათი ფული, ოქროს საათი და სამი მცირე ორდენი.

საწოლი ოთახი განსვენებულისა პატარაა, ერთი კარი აქვს ჩრდილოეთით და ერთიც სარკმელი აღმოსავლეთით. სარკმლის პირდაპირ კედელთან საწოლი დგას, ხოლო კარის პირდაპირ, კედელთანვე, მოზრდილი კამოდი. კამოდზე იდგა ღვინიანი ბოთლი, სიფონი და სტაქანი. საწოლ წინ კამოდისკენ სელის სკამზე იდგა საშარდე, რომელიც ცარიელი არა ყოფილა. კარებისაკენ პატარა სტოლი იყო მიდგმული; სტოლზე იდგა შანდალი ნამწვის სანთლით და ერთი კიდევ სხვა ნამწვი სანთლისა. საწოლ ოთახიდგან ზალაში საწერ სტოლზე სჩანდა ერთი ცხონებულის ხელით ნაწერი საქმე (дѣло), რომელზედაც ეწერა მისივე ხელით: „послѣдствія Кутаисскаго обѣда, 5 октября 1885 года“. არც ერთი ნივთი არა ყოფილა ადგილ შეცვლილი როგორც საწოლ ოთახში, ისე ზალაში. არც ერთი სარკმელი არა ყოფილა გაღებული და გატეხილი; მისავალ ოთახის კარი გაღებული იყო და გასაღები კლიტეში ჰქონდა შიგნიდგან.

იგი სახლი, რომელშიაც იყო სადგური ცხონებულისა, მეოთხეა აქაურის გუბერნატორის სახლიდგან, თავ ქუჩაზეა და პატარა ციხესა ჰგავს. ამ სახლის ეზოს კედელი მაგარი და განიერი აქვს და მცველი უყენია; ეზოში შესვლა ღამით შეუძლებელია. ამ სახლში სადგურები სხვაც ბევრია და ყველაში მაღალისა, მაძღარისა და შეძლებულის საზოგადოების ხალხი დგას. ამ სახლშივე ქუჩის პირზე დიდი აფთიაქია მოთავსებული.

დიდად აღელვა აქაური საზოგადოება ამ საზიზღარმა კაცის-კვლის ამბავმა. ყველა, ვისაც-კი ჭეშმარიტება და სიმართლე სწამს, დიდის მწუხარებით და თანაგრძნობით იხსენიებს ცხონებულის სახელს. ამბობენ, რომ აქ, ამისთანა ადგილას, ჯერ არ მომხდარა გაცარცვისათვის კაცის-კვლაო. ჩვენ ვიცით, რომ ერთს მასწავლებელს, რომელიც მეორე სართულში ცხოვრობდა, სამოვრის და ჩაის იარაღის მეტი, ყველაფერი მოჰპარეს ქურდებმა, მაგრამ არავისათვის ხელი არ უხლიათ. შეიძლება, დიმიტრი ივანეს ძის გამცარცველები შინაურები იყვნენ და შეეშინდათ ცნობისა.

გამოძიება სწარმოებს. გამოძიება მინდობილი აქვს გამომძიებელს, ბ-ნს ტარსაიძეს. სახლის პატრონმა მოსამსახურეებზე აიღო ეჭვი და მოახლე, ეზოს მცველი და მეჯინიბე იმ დღესვე დაიჭირეს. ამბობენ, მეჯინიბე ავს სულსა ჰგავსო; იგი ახალგაზდაა, ჯარის-კაცად ნამყოფია და ჩამომავლობით პოლშელია.

სახლის პატრონ ქალს უთქვამს, რომ 25 ოქტომბერს მოახლე გენერლისათვის ყავის მისართმევად ჩვეულებრივ დროზე არ მოვიდა და მე თვითონ დავუძახე და ყავა გავატანეო. მოახლეს შაბათ ღამეს ეთქვა სამზარეულოში, რომ ამაღამ გენერლის წინა ოთახში უნდა დავწვეო; ხოლო კვირა დილას-კი ა. გ. ბარძიმაშვილისათვის ეთქვა მწუხარებით: ნეტა მეც გენერალთან მოვეკალითო. ამავე მოახლეს იმ საათშივე მკურნალის ბ-ნ ელიავას მოსამსახურესათვის ეთქვა: „ბედი მომივიდა, რომ წუხელი გენერალის მისავალ ოთახში არ დავწექიო“. ამავე მოახლემა სთქვა, როცა ჰკითხეს, ვინ ურეცხდა საცვალს განსვენებულსაო, რომ არ ვიციო. სხვებმა-კი აჩვენეს, რომ გენერლის მრეცხავი ქალი ამ მოახლის ლეიძლი და არისო. ეს მოახლე ხშირად წვებოდა თურმე დიმიტრი ივანეს ძის მისავალს ოთახში და რადგანაც მან ადრე მოსვენება იცოდა, მოახლეს საღამოს მიჰქონდა გასაღები და გარედგან ჰკეტდა ოთახსა, რომ შესვლის დროს არ გეეღვიძებინა. ერთხელ ყველა მოსამსახურენი იმის სადგურში წოლილიყვნენ, რადგან სამზარეულოში სინესტე ყოფილიყო და დიმიტრისათვის შეეჩივლათ, ვიხოცებითო. ჯერ-ჯერობით ამის მეტი ვერაფერი შევიტყე საყურადღებო.

განუსვენოს ღმერთმა სულსა შენსა და აკურთხოს ნათესავი შენი, მართალო და თავ-დადებულო დიმიტრი ივანეს ძევ.


ნაცვლად იმა განცხადებისა, რომელიც აქაურ გაზეთებში იყო დაბეჭდილი **დიმიტრი ივანეს ძის ყიფიანის** სახლობისაგან, იგი სახლობა ამით აცხადებს, რომ გვამს განსვენებულისას მოასვენებენ ტფილისში კვირას, ნოემბრის რვას, და იმავე დღეს, დილის 11 საათზე, წამოასვენებენ ვერიდამ მთაწმინდას, მამა დავითის ეკკლესიაში.


## წერილი გორიდამ

დიმიტრი ივანეს ძის ყიფიანის გარდაცვალება გორში 25-ს ოქტომბერს, საღამოთი, გავიგეთ: სურამიდამ ჩამოსულებმა გვითხრეს. დიდად შეგვაწუხა, დაგვაღონა, ათას ნაირი მწვავე, გულ-დამთუთქი ფიქრი აგვიშალა; მაშინათვე გავქანდით ფოსტა-დეპეშის კანტორაში და შევეკითხენით სურამში. იქიდამ მოკლედ გვიპასუხეს: მაგისთანა კაცზედ ამისთანა ტყუილს ვინ შესთხზავდა; მართალიაო. გულს არ ეჯერებოდა როგორღაც და მაშინვე სტავროპოლში გამოველაპარაკეთ ნაცნობებს დეპეშით. სანამ იქიდამ პასუხი მოგვივიდოდა, ქალაქიდამ ორშაბათს რუსულმა გაზეთებმა მოკლედ გვაცნობეს დიმიტრის მოწამებრივი სიკვდილი. ყველა, დიდი თუ პატარა, ქართველი თუ სომეხი, დიდს მწუხარებას მიეცა; ყველას ტუჩზე ეკერა შემდეგი საკითხავი: რადა, რისთვისა? დიმიტრის ხსენებაზე ყველას თვალში ცრემლი მოსდიოდა და გულ-ანატირად ლაპარაკობდა. დიდი მადლი უნდა მიუძღოდეს კაცსა, რომ ასეთი საზოგადო მწუხარება, გოდება და ტირილი გამოიწვიოს. მხოლოდ დიდ-ბუნებიან კაცთა სიკვდილი ჰბადებს ამ გვარს საერთო წუხილსა და ვაებას. როცა ამ გვარი კაცი კვდება, როგორიც იყო დაუვიწყარი დიმიტრი, ადამიანს თითქო რაღაც ძარღვი სწყდება გულში; თითქო ამ გვარის კაცის სიკვდილით ქვეყანა ცარიელდება. ყოველი კუთხე ჩვენის ქვეყნისა შეაძრწუნა ამ ბარბაროსულმა მკვლელობამ; ყველას გული დაეწვა.

როგორც გამოცხადებული იყო გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღვარის, ბ-ნ ი. სულხანიშვილის მიერ „ივერიაში“, კვირას, 12-ს საათზედ, წირვის შემდეგ გორის საკრებულო საყდარში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი დიმიტრი ივანეს ძის მოსახსენებლად მთელის გორის სამღვდელოთაგან. წირვა რომ გამოვიდა, გლოვის ზარი დაირეკა; დიდ-ძალი ხალხი შეგროვდა; საყდარში ტევა აღარ იყო: აქ იყვნენ როგორც თავად-აზნაურნი, ისე კიდევ გორის მკვიდრნი, სომეხნი, კათოლიკენი, მდაბიო ხალხი. პანაშვიდზე სხვათა შორის წინამძღოლს გარდა იყვნენ გორის მაზრის უფროსი და ქალაქის თავი. დაიწყეს თუ არა გლოვით გალობა, ხალხს ჰმუნვა დაეტყო; საყდარში გასაოცარი სიჩუმე სუფევდა. პანაშვიდის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ჯერ ბ-ნ ი. ნატროშვილმა, შემდეგ გ. ლოლაძემ და ბოლოს ნიკო ლომაურმა. აქ არას ვიტყვით წარმოთქმულს სიტყვებზე, რადგანაც დასაბეჭდად გამოუგზავნი რედაქციასა. ვიტყვი მხოლოდ იმასა, რომ ლომაურმა თავისის მშვენიერის და მხურვალე გრძნობით სავსე სიტყვით დიდი გავლენა იქონია მსმენელებზე. თვით ორატორი შეწუხებული იყო; მთლად თრთოდა და მთრთოლვარის ხმით გულ-საკლავი სიტყვები ამოჰქონდა. მსმენელთა წინაშე გადაშალა მშვენიერი სურათი დიმიტრისა და შემდეგ ხელოვნურად დაუხატა მტარვალისაგან მისი სიკვდილი. ხალხში ქვითინი და მწუხარება გაისმოდა. პანაშვიდის შემდეგ ბ-ნ ლომაურს მადლობა გადუხადეს წინამძღოლის პირითა.

გორის მაზრიდამ დიმიტრი ივანეს ძის კუბოზე დასადებად მზადდება ორი გვირგვინი, ერთი დედათაგან და მეორე მამაკაცთაგან.

## წერილი ზესტაფონიდამ

დიმიტრი ივანეს ძის ყიფიანის მოულოდნელმა სიკვდილმა გლოვასა და მწუხარებაში ჩააგდო ზესტაფონის მცხოვრებნი. ჰგლოვობს დიდი და პატარა იმ დანაკლისს, რომელიც ქვეყანას მოუვიდა თავის ღირსეულის და საუკუნოდ სახსოვარის შვილის დაკარგვით. მაგრამ რას ვამბობ? საქართველომ დაჰკარგა არა მარტო ღირსეული შვილი, არამედ მამაც, მზრუნველი მამა, რომელიც განუწყვეტლივ ჰზრუნავდა მამობრივის სიყვარულით თავის საყვარელის სამშობლოს კეთილდღეობისათვის.

გამხეცებულმა ავაზაკმა მოჰკლა დიმიტრი ივანეს ძე, მაგრამ საუკუნოდ ცოცხალი იქნება მისი შეუმწიკვლელი სახელი. ხალხის ხსოვნა არ დაივიწყებს მართალს მოხუცსა.

—მე მო—

## ახალი ამბავი

*** ახალციხიდამ მივიღეთ შემდეგი დეპეშა: „5 ნოემბერს ახალციხის ქართველმა საზოგადოებამ გარდაიხადა პანაშვიდი მოსახსენებლად დაუვიწყარის დიმიტრი ყიფიანისა. რედაქციასა ვთხოვთ, გარდასცეს გაზეთით ჩვენი უღრმესი და გულითადესი მწუხარება გარდაცვალებულის სახლობასა და ნათესავთა“.

*** ყარსიდამ დეპეშითა გვწერენ პატივის-მცემელნი დიმიტრი ყიფიანისა: „დიდად აგვა ღელვა ავაზაკურმა მოკვლამ დამსახურებულის მოხუცისამ. გთხოვთ გარდასცეთ მის სახლობას ჩვენი დიდი მწუხარება“.

*** კნეინა ელენე გრუზინსკისა და ლევან ლუარსაბის ძე თარხნიშვილისაგან მივიღეთ შემდეგი დეპეშა გრაკალიდამ: „თვალზე ცრემლ-შეუშრობლივა ვტირით და ვგლოვობთ საერთო დანაკარგს—ბედმა წაგვართვა დაუვიწყარი და დიდად პატივცემული მამა-მოხუცი, დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი. დღეს, 5 ნოემბერს, ახალ-ქალაქის ეკკლესიაში გარდავიხადეთ პანაშვიდი მოსახსენებლად ძვირფასის დიმიტრის სულისა. გთხოვთ გარდასცეთ მიცვალებულის სახლობასა ჩვენი უუგულითადესი მწუხარება.

*** გაზ. „Нов. обоз.“-ესა სწერენ სტავროპოლიდამ, რომ ავაზაკნი ფულზე ვერ დაჰხარბდებოდენ, რადგანაც დიმიტრი ყიფიანი ამ მხრივ საკმაოდ ღარიბად იყოვო, და ვინც იცოდა მისი გარემოება, იმისთვის ცხადი იყო, რომ მაგდენს ვერას წაიღებდა და მაშასადამე ამის გულისთვის არც მოკვლას განიზრახავდაო. ამ მოსაზრებამაო, სწერენ გაზეთს, კიდევაც ეჭვი აღძრა, რომ ეს მოკვლა ნაყოფია შურის-ძიებისა, და თუ წაუღიათ რაღაც-რაღაცეები, ეგ იმიტომ, რომ თვალი აუხვიონ გამოძიებასაო.

*** 26 ოქტომბერს პეტერბურგის ოლქის სასამართლოში განირჩია საქმე გრიგოლ ხერუმოვისა, რომელმაც ამ წლის 11 მარტს განიზრახა მოკვლა პეტერბურგის სირაჯისა, სერგო გოძიევისა. საქმიდამ აღმოჩნდა შემდეგი: გრიგოლ ხერუმოვი, 23 წლის ახალგაზდა, მსახურებდა სერგო გოძიევის სარდაფში. გოძიევი ავად გახდა და პეტერბურგიდამ გამოემგზავრა კავკასიაში; საქმეები-კი ჩააბარა თავის ნოქარს, გრიგოლ ხერუმოვსა. მანამ სერგო გოძიევი დაბრუნდებოდა პეტერბურგს, მისმა ნოქარმა მოიპარა თითქმის 20 „ბოჩკა“ ღვინო, სამასის მანეთისა. გოძიევმა დაბრუნებისათანავე დაითხოვა თავისი ნოქარი ადგილიდამ. გრიგოლ ხერუმოვი დიდხანს ეხვეწა თავის უწინდელს პატრონსა, რომ ხელ-მეორედ აეყვანა ადგილზე, მაგრამ გოძიევმა აღარ მიიღო მისი თხოვნა. ხერუმოვი დიდს სიღარიბესა და გაჭირებაში ჩავარდა. რამდენისამე თვეის განმავლობაში მოსვენებას არ აძლევდა გოძიევსა. ბოლოსა სთხოვა, გზის ფული მაინც მომეციო, რომ ჩემს სამშობლოში დავბრუნდეო. გოძიევმა ამაზედაც უარი უთხრა. უბედურებაში ჩავარდნილი კაცი ამ უარმა საშინლად აალელვა. ხერუმოვმა ამოიღო ექვს-ლულიანი რევოლვერი და დასცა გოძიევს. სამი ტყვია მოარტყა მუცელსა და ფეხში და მძიმედაც დასჭრა.

ნაფიც მსაჯულებმა სცნეს ხერუმოვი დამნაშავედ მაში, რომ 300 მანათის ღვინო მოჰპარა გოძიევსა და

თანაც უნდოდა მოეკლა კაცი ხოლო, რადგან ეს უკანასკნელი დანაშაული ჩაიდინა სულის ალელვების მდგომარეობაში, ამის გამო უნდა შეუმსუბუქდეს სასჯელიო. სასამართლომ გარდასწყვიტა, ჩამოერთვას გრიგოლ ხეჩუმოვს ყოველივე ღირსებანი და გაიგზავნოს საცხოვრებლად ციმბირის შორეულ ადგილებშიო.

## ხმა შიდა ქართლიდამ

თუმცა მეთაკილება, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, რომ აგერ მეოთხე წელიწადია, შემთხვევით ვცხოვრობ შუა ქართლში (ქვემო ჭალაში) და დღევანდლამდე შუა ქართლზედ და მის ჰავა-ნიადაგმცხოვრებლებზედ ისეთი გამოურკვეველი წარმოდგენა მქონდა, რა გვარიც ისპანიელსაც-კი დაემართება. ამ გვარი ამბავი საზოგადოდ ჩვენში, ასე რომ ბევრმა შუა ქართლელმა დღესაც არ იცის შიდა ქართლის ავი და კარგი.

ყოველი ხალხი, რომელიც განათლების გზას დასდგომია, იმასა ცდილობს, რომ თავის სამშობლო ქვეყნის ისტორია იქონიოს, ისტორია, რომელიც გვიჩვენებს საზოგადოდ, რა გვარი ცხოვრება ჰქონიათ ამა-და-ამ ტომის წინაპართ, რა ყოფილა მიზეზი იმათის კეთილდღეობისა და ანუ იმათის დამცირებისა. თვითოეულ ტომს ხომ თავისი ისტორია უნდა ჰქონდეს; თვითოეული ჩვენგანიც-კი, რომელიც ცდილობს განათლებულ კაცად იწოდებოდეს, მოვალეა, თუ მთელი სამშობლო ქვეყანა არა, სამშობლო ქვეყნის ის კუთხე მაინც კარგად გაცნობილი ჰქონდეს, სადაც იგი დაბადებულა და სადაც სიკვდილის შემდეგ წავა საფლავში.

ჩვენს ძველს მწერლობაში შიდა ქართლს ეძახდნენ აწინდელ გორის მაზრის და ტფილისის მაზრის ნაწილს; აწ-კი შიდა ანუ შუა ქართლს ეძახიან მდ. პატარა ლიახვის და მდ. ლეხურას შუა მდებარე სოფლებს. ვეებერთელა ტრიალი მინდორი, რომელზედაც გაჭიმულია შუა ქართლი, სიგრძით იქნება 30 ვერსი და სიგანით-კი—27. აღმოსავლეთით შუა ქართლი ისაზღვრება ლეხურას ხეობით, დასავლეთით პატარა ლიახვით, ჩრდილოეთით გვერდის მთით და სამხრეთით წლევისა, სარკინასი და კვერნაკის მთით. ჯერ-ჯერობით შუა ქართლის აღმოსავლეთის ნაწილზედ ვილაპარაკოთ. ლეხურას ორთავ ნაპირებზედ მდებარეობს ლეხურას ხეობა. სახელი ამ მდინარემ მიიღო იქიდამ, რომ მის ზემო ნაწილის გარეშემო მდებარე სოფლებს ერქვა სახელი დაბარეხსა და აქედგან წარმოსდგა რეხსას ანუ ლეხურას ხეობა. ქართლში ბევრი არ არის იმისთანა ხეობა, რომელიც სიმშვენიერით, სიმდიდრით, სოფლების რაოდენობით და მცხოვრებთა რიცხვით შეედრებოდეს ლეხურას ხეობას, რომელშიაც ცხოვრობს თითქმის 1400 კომლი. სიგრძით ეს ხეობა არ არის გრძელი, სულ იქნება 30 ვერსი. ლეხურა გამომდინარეობს სოფ. ქოლოთაის მახლობლად, მიმდინარეობს სამხრეთისაკენ და დასავლეთით კასპთან ერთვის მდ. მტკვარს. ამ ხეობაზედ არის გაშენებული 30 პატარ-პატარა სოფელი ოსებისა და ოთხი შუათანა სოფელი ქართველებისა. ქართველების შუათანა სოფლებს ეკუთვნიან საკორინთლო, ქვემო-ჭალა, სამთავისი და კასპი. როგორადაც ბუნება, აგრეთვე მიწის ნიადაგი ამ ხეობისა მეტად მდიდარია; აქ უხვად მოდის ღვინო, პური, ქერი, სიმინდი, კომბოსტო და მრავალი სხვა მარცვლოვანი მცენარენი. ლეხურას ხეობა შესდგება ექვსის სამამასახლისოდგან: წოდლისა, ნიჩისა, საკორინთლოსი, ქვემო-ჭალისა, სამთავისისა და კასპისა. პირველ ორ სამამასახლისოს შეადგენენ ოსები, რომლების სოფლები, როგორც მთის ხალხისა, ტყეებში, პატარ-პატარა გორაკებზედ, ტყის ფერდოებში, ანუ მდ. ლეხურას ორთავ ნაპირებზედ არიან გაშენებული. ოსებს ას კომლობით ერთად დასახლება არ უყვართ, როგორც ქართველებს. რომელსამე პატარა გორაკის ფერდში ხუთი ან ათი კომლი უნდა ცხოვრობდეს, ხშირად ერთი გვარისანი. ამათი ამ გვარი გაცალკევების მიზეზი უფრო უმამულობა უნდა იყვეს, რადგანაც ტყეებში, პატარა გორაკებზედ, ოც ან ორმოც დღიურ მიწაზედ ხუთისა და ათის კომლის მეტი ვერ მოთავსდება. მამულების უქონლობისა გამო ოსები მარტო ხვნა-თესვას მისდევენ და ან რომელი ვაზი და ბოსტნეულობა იხეირებს რომელსამე გორაკზედ, სადაც სასმელი წყალიც-კი ძვირია ხოლმე. მართალია, მამულის უქონლობა ამათ ხელს არ უწყობს, რომ სხვა წარმოებას მოჰკიდონ ხელი, მაგრამ ესეც-კი უნდა ვთქვათ, რომ ოსები უვენახოდ და უბოსტნოდ არა დგებიან. ქართველებისაგან იღებენ სანახევროდ ვენახებს, ბაღებს, საბოსტნე მიწებს და ერთგულად მუშაობენ, ასე რომ ოსების სახლში კაცი ყოველთვის ჰნახავს კომბოსტოს წნილს, ხახვს, ბოლოკს და სხ. ეს მოვლენა მართლა და რომ სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ოსებს დღეს ხელი მოუკიდნიათ პატიოსანის შრომისათვის. რაც შეეხება იმათ შინაურს ცხოვრებას, იგი ბევრად საყურადღებო არ არის. რაც უნდა მდიდარი ოსი იყოს, იმის სახლს რიგიანად მოწყობილს ვერა ჰნახავს კაცი. საქონელი: ღორი, ცხენი, ხარი, კამბეჩი და შინაური ფრინველები სულ ერთს სახლში ცხოვრობენ. სახლის შუა ადაგას დიდი ცეცხლი ანთია და ყველა იქ მყოფნი ერთად ითბობენ მხოლოდ ტანის წინა ნაწილს, ზურგი და ბეჭები-კი სულ სიცივით უშეშდებათ, რადგანაც კარები კომლის გასასვლელად ღია აქვთ. არა ნაკლები სიცივე შემოდის სანათურებიდგან. მართალია, ქართველების მდაბიო ხალხის სახლებიც ამ ნაირად არის მოწყობილი, მაგრამ ეს უკანასკნელნი, თუ პატარა შეძლება ჩაიგდეს ხელში, მაშინათვე სახლ-კარის მოწყობას შეუდგებიან. ოსი-კი, რაც უნდა დიდი სიმდიდრე შეიძინოს, სრულებით არ ეცდება ოჯახის განკარგებას და არც საჭიროდ სთვლის ამ საგანზე ზრუნვასა.

როგორც ჩვენის მდაბიო ხალხის, ისე ამ ოსების ამ გვარ დაუდევრობასა და უზრუნველობას მოსდევს ის შედეგი, რომ ისინი ხშირად ცივდებიან, ადგებათ ჭვალი და უდროოდ ესალმებიან ამ წუთისოფელს. ამ გარემოებას ხელს უწყობს ახლა უქიმობაც. ამ გვარ მრავალ სოფლებიან ხეობაზედ, როგორც არის ლეხურას ხეობა, არ არიან ექიმები და ფერშლები. უნდა მოვახსენოთ, რომ უქიმობა დიდი ნაკლულევანებაა ლეხურას ხეობისა. მდაბიო ხალხი, ოსია თუ ქართველი, თავის ჯანმრთელობის გაფრთხილებაზედ არა ზრუნავს. ავადდება ვინმე ავად თუ არა, მისმა პატრონმა არ იცის, როგორ და რითი უწამლოს ავადმყოფს, ანუ რა საშუალება იხმაროს სნეულების წინააღმდეგ, და მაშინათვე მკითხავთან მირბის. მართალია, ამ გვარი სენი ქართველებსაც-კი სჭირთ, მაგრამ ამათ, როგორც ოსებს, ყოველ სოფლებში მაინც არა ჰყავთ მკითხავები.

არა ნაკლებ აღარიბებს ოსებს მეორე სენი. ეს მეორე სენი გახლავთ ურადი და ადათი. ურადი და ადათი პირველი მიზეზია იმათის გაღარიბებისა. ურადს ოსები იმას ეძახიან, რომ სასიძომ ქალის პატრონს უნდა მისცეს რამდენიმე ხარი ანუ ძროხა, იარაღი და, შეძლებისადაგვარად, ფულიც. კარგ ადათს და ქელეხის გადახდას ოსები დიდ მნიშვნელობას აძლევენ და ყველა მიცვალებულის პატრონი იმასა ცდილობს, რომ უკანასკნელი პერანგიც გაიყიდოს და ქელეხიკი კარგი გადაიხადოს. მიცვალებულის პატრონი მოკვდეს ქელეხი გააკეთოს, დაჰპატიჟოს ყველა თავისი ნაცნობნი და მეგობარნი, ახლო-მახლო სოფლელნიც და კარგად გადაჰკრან. ამისთანა ქელეხებს რომ ერთხელ ან ორჯელ იხდიდნენ, კიდევ არა უშავდა-რა, მაგრამ უბედურობა იმაში მდგომარეობს, რომ ამ გვარი ხარჯი წელიწადში ხუთჯერ მოსდით; მიცვალებულის დასაფლავების დღეს, მეორმოცე დღეს, ამაღლების დღეს, მარიამობას და წლის თავზედ. ექვსი ამ გვარი ხარჯი ვგონებ რომ თვით გამდიდრებულ ოჯახსაც ძირს დასცემს და ღარიბებს ხომ ცარიელზედ დასვამს. ამ შემთხვევაში სოფლის მღვდლები და მასწავლებლები ვგონებ ურიგოს არ იზამდნენ, ჩააგონონ ხალხს, რომ ზემოდ მოხსენებული ჩვეულებანი პირველი მიზეზია იმათის სიღარიბისა და ამ გვარად ეცადნენ, თუ სრულიად მოსპობას არა, ამ ხარჯის შემცირებას მაინც.

ქართველების სოფლები, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, არის საკორინთლო, ქვემო-ჭალა, სამთავისი და კასპი. საკორინთლო მდებარეობს მდ. ლეხურას მარჯვენა ნაპირზედ და მცხოვრებლები აქ 80 იქნება. საკორინთლო ეკუთვნით აზ. კორინთლებს, რომელთ წინაპარნი ძველადვე არიან მოსულნი კორინთიდგან. ძველად სახლობდნენ ქსნის ხეობაზედ და იყვნენ ალევის ხევის ბერნი. კორინთლები უფილან წარჩინებულნი აზნაურნი, საკმაოდ ბლომად ჰქონიათ სოფლები და მამულები. ამათ მიუღიათ აზნაურობა მარიამ მეფის დროს. მხოლოდ 1625 წ. სვიმონ მეფის დროს მიუღიათ ქსნის ერისთვობა, მაგრამ მეფე რაღაზედაც განრისხებულა მათზედ, მალე წაურთმევია თავადობა და დარჩენილან ისევ აზნაურებად. კორინთლები უფილან ერისთავიანთ აზნაურნი, როდესაც ერისთავებს, რატიშვილებს და ამილახვრებს ამოუწყვეტიათ დაზნელნი და იმათი მთა და ბარი გაუნაწილებიათ, ერისთავებს კორინთლებისათვის მიუციათ ის ადგილი, სადაც ეხლა საკორინთლო მდებარეობს. შემდეგ ამისა კორინთლები ქსნის ხეობიდგან საკორინთლოს გადმოსახლებულან თავიანთის გლეხებით. ეს იმ კორინთლების ჩამომავალნი არიან ის კორინთლები, რომელნიც აწ სახლობენ სოფ. საკორინთლოს. დღესაც ამათ საკმაოდ აქვთ მამული; არიან მხნელ-მთესველნი ხალხნი, ერთგულად მუშაობენ თავიანთ მიწა-ვენახებს, ძალიან ცდილობენ ოჯახის გამოკეთებას და მზად არიან ყოველ გვარ საკეთილო საქმეს მოჰკიდონ ხელი, ოღონდ შრომა დაუფასდეთ. ესენი სრულიად არა ჰგვანან იმ აზნაურთ, რომელნიც თავიანთ ქონებას და სარჩოსაბადებელს ტანისამოსზედ, ლოთობასა და სანოვრებში ჰფლანგავენ; არა ჰგვანან იმ აზნაურთ, რომელნიც მზად არიან ერთის უშრალო სიტყვისათვის კაცი შემოაკლან, ან და სხვას შეაკვდნენ. ესენი არიან უწყინარნი, მშვიდნი, ღვთისა და კაცის მოყვარენი. ამ სოფელშივე ცხოვრობენ აზნაურნი თუხარელები. ამათი წინაპარნი გადმოსულან სამცხე-საათაბაგოდგან სუხაროს ადგილიდგან 1469 წ. დავით მეფობის დროს და დასახლებულან გორის მაზრაში, სოფ. მეტეხს, საკათალიკოზო ადგილებზედ. ერთი თუხარელთაგანი ვინმე რამაზი შეუსყიდნია გივ ამილახვარს და დაუსახლებია საამილახვრო მამულში, სოფ. საკორინთლოს მახლობ-

---

# ფელეტონი

## ზამთარი მთაში

(გიუ დე-მოპასანისა)

(შემდეგი *)

მზე ჩაესვენა და მოეფარა ვილდშტრუბელის მთასა. ყმაწვილი-კაცი გამობრუნდა სახლში. მოხუცი გარი კვლავ ჩიბუხსა სწევდა. გარიმ შეატყო ულრიხს, რომ მოწყენილი იყო და უთხრა, ქაღალდი ვითამაშოთო. მოიტანეს ქაღალდი, მოუსხდნენ სტოლსა და დაიწყეს თამაშობა. იბანქოვეს დიდხანს. სულ უბრალო სათამაშოსა თამაშობდნენ, სახელდობრ, კონჩინასა. კარგა ხანი რომ გავიდა, ივახშმეს და დაწვნენ დასაძინებლად.

დარი კარგი დაიჭირა, მოწმენდილი დღეები იდგა და, თუმცა ციოდა, მაგრამ თოვლი-კი აღარ მოდიოდა. ასე გადიოდა დრო და ერთი დღე მეორესა ჰგავდა. მოხუცი კასპარი სადილს უკან ნადირობდა, ჩაუსაფრდებოდა არწივებს და ზოგიერთს სხვა ფრინველებსაც, რომელნიც ამ გაციებულს და გათოშილს ქვეყანაში კიდევ დარჩენილიყვნენ, და უყურებდა. ულრიხი კიდევ დადიოდა იქ, საცა თაედალმართი იწყება და ჩასავალია სოფლისაკენ. იდგა აქ და ჩასცქეროდა სოფელს. შემდეგ თამაშობდნენ ქაღალდსა, უგებდნენ ერთმანერთს სხვა-და-სხვა უბრალო ნივთებსა, უფრო იმიტომ-რომ ამ მოგება-წაგებით უფრო მეტი ხალისი ჰქონოდათ თამაშობისა.

ერთხელ დილით გარი ადრე ადგა და თავისი ამხანაგიც გააღვიძა. ცაზე მძიმედ მიიზლაზნებოდა ბამბასავით თეთრი, სუბუქი, მაგრამ სქელი ნისლი, რომელიც თეთრს ქაფსა ჰგვანდა. ამ ნისლმა თუ ბურუსმა იარა და შემოეხვია იმათს სახლს, მოიცვა ყოველ მხრივ, თითქო აქ არაფერი ამბავიაო, და ზედ დაედო ორთქლივით, რომელიც თან-და-თან უფრო ცივდებოდა და იკუმშებოდა. ასეთმა ამინდმა გასტანა ოთხი დღე. ამ ოთხის დღის შემდეგ ფანჯრებსა და კარებს ისეთი ყინულის აბჯარი შემოერტყმოდა, რომ საჭირო იყო მოეშორებინათ რითიმე. ის სუბუქი და სქელი ღრუბელი ახლა ტინივით გამაგრებულიყო, გაყინულიყო და ნაჯახით იყო საჩეხი გზის გასაკვლევადა. ასე მოხდა მას შემდეგ, რაც თითქმის 12 საათის განმავლობაში დიდი სიცივე და ყინვები დაიჭირა.

გარი და ულრიხი ტყვეებად გადაიქცნენ; შინიდამ კარში ველარ გამოდიოდნენ და არც სურვილი ჰქონდათ კარში გამოსვლისა. ორივემ გაინაწილეს, ვის რა უნდა გაეკეთებინა სახლში. ულრიხმა ირჩია დაგვა-დაწმენდა, დარეცხვა ყველაფრისა და საზოგადოდ ყველა ის საქმე, რაც სახლის სისუფთავეს შეეხება და იმათის კარგად ყოფნისათვის საჭიროა; ულრიხივე სჭრიდა შეშასაც. კასპარმა იკისრა მზარეულობა და მოვალე იყო, ცეცხლი არ გაექრო ქურაში თუ ბუხარში. ყველა ეს საქმე ძალიან ცოტა დროს ინდომებდა და ამას გარდა ერთ ნაირი და მოსაწყენი საქმეც იყო. ამიტომ დანარჩენს დროს ულრიხი და გარი დიდის სიამოვნებით თამაშობდნენ ქაღალდსა, დომინოსა და სხვასა რადგან ორივენი მშვიდობიანისა და ჩუმის ხასიათისანი იყვნენ, ამიტომ ერთმანერთში დავა და ახირება არა მოსდიოდათ-რა; ერთხელაც არ გამოსულა არც ერთი მათგანი მოთმინებიდამ; არ უთქვამს არც ერთი უმართებულო, საწყენი სიტყვა; არ გამოუჩენია, რომ ცუდს გუნებაზედა იარო. ერთის სიტყვით, ამ კაცებს თავიანთი თავი სრულიად და განუსაზღვრელად განკვეხისათვის მიეცათ და იმის ნება იყო ახლა, როგორც გაასაძლისებინებდა ამ გრძელსა და ზამთრის საშინელს თთვეებში.

ათასში ერთხელ მოხუცი კასპარი აიღებდა თოფს და წავიდოდა გარეულის თხების საძებნელად. ხან-და-ხან მარჯვედ ჩაუსაფრდებოდა და მოჰკლავდა ხოლმე მოხუცი ეშმაკს თხას და მაშინ სწორედ დიდი ამბავი იყო ხოლმე შვარენბახში: ულრიხისა და გარის სუფრაზე ნადირის ახალი ხორცი გაჩნდებოდა ხოლმე.

ერთხელ დილა ადრიან წავიდა გარი სანადიროდ; სიცივე ისეთი იყო, რომ ჰყინავდა ყველაფერსა; მზე ჯერ არ ამოსულიყო. როცა მოხუცი სახლიდამ გამოვიდა იმ იმედით, რომ იქნება ვილდშტრუბელის ძირში გარეული თხები ენახოვო, ულრიხი მარტო დარჩა და დილის ათს საათამდე ეძინა; ცოტა არ იყოს უყვარდა ულრიხს დილის ძილი, მაგრამ მოხუცის სირცხვილით ვერა ჰბედავდა.

ულრიხი ადგა ზლაზნვით და ისა და სამი ზოზინით შეექცნენ საუზმესა. სამიც დიდი მოყვარული იყო ძილისა და დღე და ღამეს თითქმის სულ ბუხარში იყო, ცეცხლა პირას წამოწოლილი; საუზმის შემდეგ ულრიხიც დაღონდა და მისი გული სევდამ მოიცვა, ეშინოდა მარტოობისა და ძრიელ მოუნდა ერთი ხელი ქაღალდი მაინც ეთამაშნა თავის მოხუცებულ ამხანაგთან. ასე-კი შეუყვარდათ და შეეჩვივნენ ორივენი ქაღალდის თამაშობასა.

პატარა ხანს იჯდა ასე მოწყენილი ულრიხი და მერე ადგა და კარში გამოვიდა. წავალ, კასპარს შევხვდები სადმე; მითხრა, რომ ნაშუადღევს დავბრუნდებიო.

თოვლს ამოევსო ღრმა და ფართო ხევი, ამოესილა კლდის ნაპრალნი, გადაელესა ორივე ტბანი, მათი კლდოვანი ნაპირები და ფიფქი მოსდებოდა კლდის ნატეხებსაცა. დიდ მთის წვერებს შორის მოჩანდა ეხლა ერთი განუსაზღვრელი, გარე-შემოუწერელი თეთრი მინდორი, გაციებული და თვალთ-მომჭრელის სისპეტაკით მობრწყინვალე. სამი კვირა გავიდა კიდეც მას უკან, რაც ულრიხი უკანასკნელად იყო თავ-დალმართის თავში და იქიდამ გადასცქეროდა სოფელს. ეხლა კიდევ მოუნდა წასვლა. ჯერ იქ წავალ და სოფელს გადავხედავო, იფიქრა გულში ულრიხმა,—და მერე მოვეყვები ვილდშტრუბელის მთაზე ცოცვას კასპარის მოსანახავადო.

ამ ჟამად სოფელი ლოეშიც თოვლში იყო გახვეული; ამ თეთრის სა-

*) იხ. „ივერია" № 231.

ლად, სოფ. აზრევში. რამზის ჩამომავალთ შემდგომ უყიდნიათ საკორინთლოში მამულები და იქვე დასახლებულან. თუხარლებიც მხვნელ-მთესველი მუშა ხალხია; საზოგადოდ საკორინთლოში მცხოვრებლები როგორც გლეხნი, აგრეთვე აზნაურნი უფრო პურის და ღვინის მოყვანას მისდევენ; მეტადრე ღვინო აქ კარგის თვისებისა მოდის. რომ კარგი ღვინო მოდის საკორინთლოში, ამისი მიზეზი ის არის, რომ იქაური ვენახები გაშენებულია ლეხურას პირზედ, ფერდოზედ, მთელი დღე მზე დასცქერის და ყურძენი კარგად მწიფდება. რაც შეეხება იალაღს, სრულიად ნაკლებადა აქვთ; ამისი მიზეზი კიდევ ის არის, რომ სოფლის გარშემო ტყეები დასახლდნენ. სოფელში მშვენიერი წყალი არის, რადგანაც სოფელი მაღლობ ადგილზედა მდებარეობს.

საკორინთლოდგან ერთს ვერსზედ მდებარეობს სოფ. ქვემო-ჭალა. ეს სოფელიც მდინარე ლეხურას ორთავ ნაპირებზედ მდებარეობს. წყვით, ნიადაგით სრულიად ჰგავს საკორინთლოს, მხოლოდ მკვიდრნი ქვემო-ჭალისა მარტო ხვნა-თესვას და ღვინის მოყვანას არ მისდევენ. ამათ უხვად მოჰყავთ სხვა-და-სხვა ბოსტნეულობა, მაგალითად, კომბოსტო, რომელიც კარგ ფასად იყიდება. ქვემო-ჭალა არ არის დიდი სოფელი, შეიცავს 180 მოსახლეს და ეკუთვნის მთლად თთ. ამილახვრებს. ის ადგილი, სადაც ქვემო-ჭალა მდებარეობს, ყოფილა ტყიანი ჭალა, ამილახვრები-კი თავიანთ გლეხებით მდგარან იქვე სოფლის მახლობლად აღმოსავლეთის მხარეს, მაღლობ ადგილას, ტყის პირში. როდესაც თავადნიც და გლეხნიც გამრავლებულან, გაუტეხნიათ მთლად ჭალა-ტყე და ჩამოსულან ძირს. აი ამიტომ ამ სოფელსა ჰქვიან ჭალა. ხოლო ქვემო-ჭალა იმიტომ უწოდებიათ, რომ გაარჩიონ იმ ჭალიდგან, რომელიც მდებარეობს დ. სურამის მახლობლად და რომელსაც ჰქვიან ზემო-ჭალა. ქვემო-ჭალას უფრო-კი სამთავისის ანუ საამილახვრო ჭალას ეძახიან. ქვემო-ჭალაში გლეხნი, გარდა ათიოდე მოსახლისა, სულ საბატონონი არიან, იხდიან საბალახეს, ტყის ფულს, ღალა კულუხსა და სხვა გარდასახადისა.

ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ თთ. ამილახვრებზედ და მათ ჩამომავლობაზედაც. ამათნი წინაპარნი მოსულან იტალიიდამ, მეველად ყოფილან მხედარნი. საქართველოში გადმოსულან სუმბატ მეფის დროს და დასახლებულან ახალციხის მხარეს, მესხეთში. მეფის ეს მხედარნი მამულია აზნაურის ხარისხით და უბოძებია მათთვის გვარად ზედგინიძეობა. მხოლოდ ზოგიერთს ზედგინიძეებს ერთგულების სამსახურისა გამო მამულით თავადობა მეფე გიორგ მე-VIII დროსა.

როდესაც ერთ სამეფოდ შეერთებული საქართველო განიყო რამდენსამე ნაწილად, მაშინ გიორგი VIII-მ შეჰკრიბა ჯარები და წავიდა იმერეთის დასამშვიდებლად. აქ იმერეთის ერისთავმა ბაგრატმა დაამარცხა გიორგი მეფე, ათაბაგმა ყვარყვარემ ეს გარემოება თავის სასარგებლოდ გამოიყენა და თავის მოსაზღვრე თავადების შემწეობით გამოუცხადა გიორგი მე-VIII ომი. აქ გიორგი მეფემ ხელ-მეორედ შეჰკრიბა ჯარები, რომ დაემორჩილებინა სამცხე ათასოთხასსამოცდახუთ 1465 წ. აი სწორედ ამ დროს რამდენიმე მეფის მოღალატეთ განიძრახეს, მეფე გიორგი მე-VIII მოეკლათ. ყველა ეს შეთქმულობა შეიტყო იოთამ ზედგინიძემ და მაშინვე მეფეს მოახსენა. მეფემ არ ირწმუნა, თუ მართლა მოკვლას უპირებდნენ. მაშინ იოთამმა ხელ-მეორედ მოახსენა მეფეს: „უკეთუ ვცდები და არა ჭეშმარიტ არს სიტყვა ჩემა, აწ გევედრები, რათა არ მოიკლა თავი ცუდად, არამედ ღამესა ამას მე დავწვები საგებელსა შინა შენსა და უკეთუ მომკლნა მე მგონებელთა შენდა მეფედ, ნუ დაივიწყებ ძეთა ჩემთა“. მეფე როგორღაც ეჭვში შევიდა და გაუგონა იოთამს. იოთამი იმ ღამეს ჩაწვა მეფის ქვეშსაგებში და მართლაც იქმნა მოკლული. ამ თავდადებისათვის გიორგი მეფემ უბოძა შვილთა იოთამისას გვარად ამილახვრობა და მას უფროსს ძეს მიუბოძა ციხენა, მამული, სპასპეტობა ქართლისა, მოურავობა გორისა, ციხე გორიჯვრისა და სხვანი ადგილნი, რომელნიც აწ იწოდებიან საამილახვრო ადგილებად; მხოლოდ სასაფლაოდ უბოძა სამთავისის ეკკლესია, და უბოძა აგრეთვე კარის ამილახვრობა.

ნიკო ლ—ძე

# უცხოეთი

**ინგლისი.** ლონდონელი კორრესპონდენტი სწერს გაზ. Freemans Journal“-ს სანდო წყაროდგან, რომ კონსერვატორთა დასის წარჩინებულ წარმომადგენელთ შეუდგენიათ პროექტი ირლანდიის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. აი დედა-აზრი ამ პროექტისა. ირლანდიაში შემოღებულ უნდა იქმნას ეროვნული მართებლობა, რომელსაც უნდა მიანიჭონ აღმასრულებელი უფლებანიც და რომელიც დამოკიდებული უნდა იყოს ინგლისის მართებლობაზე; ირლანდიას აგრეთვე უნდა მიეცეს პარლამენტი, აღჭურვილი საკანონმდებლო უფლებით, მაგრამ ამ პარლამენტს არ უნდა ემორჩილებოდეს აღმასრულებელი მთავრობა.

ლანდ-ლორდების მამული გადაეცემა ფერმერებს, რომლებმაც უნდა ისადონ იჯარა, მაგრამ დიდ მემამულეთა დაუტოვებენ მამულებს, რათა მათი ზედ-მოქმედება ირლანდიის საქმეებზე არ იქმნას შემცირებული.

ზოგიერთთა აზრით ეს პროექტი ვითომ იმისთვის შეუდგენიათ, რომ კონსერვატორთა მოპირდაპირე და მოსარჩლე ირლანდიისა გლადსტონი დაქვეითონ. ამ ზოგიერთთა იმის იმედი აქვთ, რომ გლადსტონი წინ გადაუდობს ამ შემთხვევაში კონსერვატორებს და ამით სრულიად დაჰკარგავს თავის სახელსაო. კორრესპონდენტის სიტყვით ამ გვარი იმედი ტყუილია, რადგანაც გლადსტონი არამც თუ ხელს არ შეუშლის ირლანდიის ბედნიერებას მხოლოდ იმისთვის, რომ ამ ჟამად ირლანდიის ესარჩლებიან კონსერვატორები, არამედ კიდევ უფრო მხნედ და მამაცად თავს გამოიდებს დაჩაგრულ ირლანდიელებისათვისაო.

**გერმანია.** საზღვარ-გარეთის და რუსეთის გაზეთები თან-და-თან უფრო და უფრო სამწუხარო და ჩამაფიქრებელ ამბებს იუწყებიან ევროპას პოლიტიკურს მდგომარეობაზე, რომელიც, იმათის სიტყვით, იმოდენად გამწვავებულია, რომ ამ სიძნელეთა გამო არავინ იცის ევროპას რა მოელისო.

ერთს ფრიად ჩამაფიქრებელ გარემოებად სთვლიან გერმანიის მემკვიდრე პრინცის ავადმყოფობას. როგორც იწერებიან, ყოველს წამს შესაძლოა მოველოდეთ, რომ მემკვიდრედ გერმანიის საიმპერატორო ტახტისა გახდეს შვილი-შვილი მოხუცის იმპერატორისა, პრინცი ვილჰელმი, შვილი ავადმყოფის მემკვიდრე პრინცისა. ეს გარემოება მით უფრო საყურადღებოა, რომ პრინცი ვილჰელმი არა-მშვიდობიანის პოლიტიკის მომხრეა.

ამ გარემოებისა და საზოგადოდ ევროპის გაძნელებულ მდგომარეობის გამო გაზეთი „Новое Время“ ამბობს: „ძალიან საეჭვოა, რომ მომავალმა ზამთარმა მშვიდობიანად ჩაიაროს ევროპაში. ერთა შორის ისე აიწეწ-დაიწეწა პოლიტიკური განწყობილება, ყველანი იმოდენად თან აღელვებულნი და თან ჩაფიქრებულნი არიან მერმისის მოლოდინში, რომ საეჭვოა არამც თუ რამდენიმე თვეებმ, არამედ რამდენიმე კვირამ ჩაიაროს მშვიდობიანად. მომავალი მოცულია შავის ღრუბლებითაო.

მხოლოდ რუსეთი, ამბობს „Новое Время“, თავისუფალია თავის მოქმედებაში, ე. ი. იმას შეუძლიან იმოქმედოს ისე, როგორც მისს ეროვნულს ინტერესებს შეეფერებაო“.

# წვრილი ამბები

— ბერლინის გაზეთები ამბობენ, რომ ვინც რუსეთიდამ გამოივლის პრუსიაზე, უსათუოდ პეტერბურგში უნდა აიღოს პასპორტი გერმანიის საელჩოდამა, თორემ პრუსიაში შემოსვლის ნებას არ მისცემენო.

— პრუსიის რეიხსტაგში განზრახვა აქვთ შეიტანონ წინადადება, რომ სასამართლოებში შეზღუდულ იქმნას უფლება საქმეების საჯაროდ განხილვისა.

— მეფე ფრიდრიხ დიდს ძალიან ჰყვარებია კუპატები. ერთხელ მეფე ამსტერდამში ყოფილა და, რაკი გაუგონია ქება ამსტერდამის კუპატებისა, შეუკვეთნია სასტუმროს პატრონისათვის, კუპატები გამომიცხვეთო. როგორ თუ კუპატებიო?—უკითხავს განცვიფრებულს სასტუმროს პატრონს ქალს მეფის მხლებელისათვის: განა მაგ პოლკოვნიკს იმდენი შეძლება აქვს, რომ კუპატებში 30 გულდენი გადაიხადოსო?—როგორ არაო, უპასუხნია მხლებელს. ფლეიტაზე კარგად უკრავს ეგ პოლკოვნიკი და ბევრს ფულებს იღებსო. სახლის პატრონი ქალი შევარდნილა მეფის ოთახში: ბატონო, მართლა თქვენ კარგად უკრავთ ფლეიტასა? აბა ერთი დაუსტვინეთ მაგ სტვირზეო. მხლებელს ამ დროს აუხსნია მეფისათვის ფრანგულად, რაშიაც ყოფილა საქმე და მეფესაც დაუწყია სტვენა ფლეიტაზე. ოჰ, მშვენივრად უკრავთ, მშვენივრადაო, უთქვამს კმაყოფილებით სასტუმროს პატრონს ქალს. თქვენ ბევრს ფულს იშოვით მაგ ხელობითა და მაშ ეხლავ გამოგიცხობთ თქვენს საყვარელს კუპატებსაო.

— გაზ. „Сарат. Днев.“-ში მოთხრობილია შემდეგი სასაცილო ამბავი: ერთს ყმაწვილს კაცს მოუპარავს ძროხა; ამის გამო ყმაწვილი კაცი სამართალში მიუციათ. ქურდს მოუქენია ვექილი დამცველად, უვაჭრნია დიდხანს და 75 მან. გაჰრიგებია. როცა საქმის გარჩევის დღე დამდგარა, სასამართლოში შეუყვანიათ გაკავებული ქურდი. ვექილი განცვიფრებულა, რაზედ გაუკავებიათ ეს კაციო, მაგრამ მერე მოჰგონებია, რომ ჩემი კლიენტი დააპატიმრესო. სასამართლოს თავ-მჯდომარემ ჰკითხა ბრალდებულს.

— ბრალდებულო, რად გაუკავებიხართ?

— ქურდობაში დამიჭირეს, ბატონო.

— როგორ თუ ქურდობაში? ჯერ ძროხა რომ მოიპარეთ, იმაში არ გამართლებულხართ და თქვენ მეორედაც ჩაიდინეთ ქურდობა?

— რა ვქნა, ბატონო მოსამართლევ, აი ამ ვექილის ბრალია; 75 მან. მომეცი, თორემ არ ვილაპარაკებ სასამართლოში შენს სასარგებლოდაო და სად მეშოვნა ეს ფული, თუ არ მოვიპარავდი.

— ლამანშის სრუტეში 2 ნოემბერს დიდი ქარი და ქარაშოტი ყოფილა. ფოსტის გემები ძლივს მისულან დანიშნულ ალაგამდე. რამდენიმე ხომალდი დამსხვრეულა ამ გრიგალის გამო.

— მაროკოში, როგორც ხმა ისმის, მეკინეზის სასახლეში საშინელი სახადი მძვინვარებს თურმე: რამდენიმე ცოლი სულთანისა უკვე გარდაცვლილა. ამბობენ, რომ სულტანი სუსტად არის და ამას გარდა კიდევ წყალმანკიც აწუხებსო.

— ავსტრიის ქვეშევრდომი, რომელსაც უნდოდა მოეკლა პრინცი ფერდინანდ კობურგისა, ჭკუაზე შეშლილი გამომდგარა.

— ბრიუსელში შესდგა საიდუმლო კრება ირლანდიის რევოლიუციონერებისა კრების თავ-მჯდომარე იყო სიულივანი.

---

ფარველის გამო კაცს აღარ შეეძლო გაერჩია სოფლის სახლები.

ულრიხი მარჯვენივ გამოტრიალდა და ლემმერნის მყინვარისაკენ გასწია. როგორც ჭეშმარიტმა მთის შვილმა, მან მტკიცედ გაჰკრა ნაბიჯი და ნელ-ნელა გასწია წინ. ხელში წვერ-რკინიანი ჯოხი ეჭირა და ამასა სცემდა თოვლსა ზედ ფეხის მოსამაგრებლად, თუმცა ჯოხი ძლივსა სტეხავდა თოვლს, რომელიც ქვასავით გამაგრებულიყო. თვალ-წინ დიდი გადათეთრებული სივრცე ჩანდა და ამ სივრცეზედ შეჩვეულის თვალით ეძებდა შავს მოსიარულე წერტილს, მაგრამ რაკი ვერ დაინახა, რასაც ეძებდა, გაჩერდა და უნებურად შეეკითხა თავის თავს, ამ გზით-კი წამოვიდა კასპარიო. ეჰემა აალელვა ყმაწვილი კაცი და მოუთმენლად მოუჩქარა სიარულს. გაყინულს თოვლს ჭრიჭინი გაჰქონდა ამ უდაბურსა და უსიერს ალაგას.

საღამო ჟამი-კი თან-თან ახლოვდებოდა; თოვლს წითელმა ფერმა დაჰკრა. აზჭყვრიალებულს თეთრს მინდორზედ ხან-და-ხან გაისისინებდა ხოლმე ხმელი, ცივი ქარი, რომელიც ძვალსა და რბილში გარბოდა. ულრიხმა გაჰკივლა ამ მინდორში, იქნება ხმა ვინმე მომცესო. მისი ხმა ზრიალ-ზრიალით, გაგრძელებით გაისმა მიძინებულ მთათა და გორათა შორის და მკვდარმა ბუნებამ პასუხი არ გასცა. როგორც ეულის ფრინველის ყრანტალი ოკეანეში, ისე გაისმა ეს ხმაც გათოშილ მყინვართა ზღვაზე, გაისმა და სადღაც შორს ჩაწყდა უპასუხოდ.

ულრიხმა კვლავ განაგრძო სიარული. მზემ გადიწვერა და ჩაესვენა მთებს იქით. მწვერვალნი ალის-ფრად შეიღებნენ; ხევნი და მთათ სავანენი დაღონდნენ და დაიჩრდილნენ.

ახალგაზდა მთიულს უცბად შიშის ზარმა დაჰკრა. სიჩუმე ბუნებისა, რომელიც მას გარეშემო ერტყა, მარტოობა, ღრმა ძილი მთებისა—ყოველივე ეს თვალ-წინ წარმოუდგა და მოეჩვენა, რომ საშინელმა სიცივემ შეიპყრა ჩემი გულ გვამი, გამიყინა სისხლი ძარღვებში, გააშეშა ყოველი ჩემი სახსარი და ნელ-ნელა ლამის გამაქვავოსო... უცბად მოვიდა გონზედ და სირბილით გაექანა თავის სახლისაკენ. „მოხუცებულიო,—ანუგეშებდა თავის-თავს ულრიხი, იქმნება კიდეც დაბრუნდა სახლში; იქნება სხვა გზით წავიდა, ამცდა მე, ეხლა თავისათვის ზის ცეცხლა-პირას და იქვე მოკლული ნანადირევი თხა უგდია ფეხთითაო“.

აი დაინახა თავისი სახლიც. ბუხრიდამ კომლი არ ამოდიოდა. ულრიხი უფრო გაიჩქარა, მიირბინა და საჩქაროზედ გააღო კარები... სამი სიხარულით მიეგება, მაგრამ კასპარი-კი სახლში არ დაუხვდა; სჩანდა, რომ არ დაბრუნებულიყო.

ულრიხი შეწუხდა და აქედ-იქით იყურებოდა, იქმნება სახლის კუნჭულში იყოს სადმეო; მერე დაანთო ცეცხლი და საჭმლის მზადება დაიწყო იმ იმედითა, რომ მოხუციც ჩქარა გაჩნდებაო.

ხან-და-ხან ულრიხი გარედ გამოდიოდა და აქედ-იქით იცქირებოდა, ხომ არ მოდის კასპარიო; მაგრამ კასპარი არსადა ჩანდა... უკვე ჩამობნელდა და დადგა ღამე, ღამე ცივი, ღამე მთიანის ქვეყნისა, დალურჯებული, ლებოვანი. შორს, ცის დასავალზე ოდნავ მოსჩანდა მთვარე, გალეულ ნამგლის მგზავსი, გაყვითლებული, უსინათლო, მილეული, თითქო ეს-ეს არის გაპარვას ეპირება და მთებს იქით უნდა დაიმალოსო.

ულრიხი შევიდა სახლში, ჩამოჯდა ფანჯარასთან, გაითბო გაყინული ფეხები და დაიწყო ფიქრი, რა არის მიზეზი, რა დაემართა ნეტავი კასპარს რომ აქამდე არსადა ჩანსო.

იქნება კასპარმა ფეხი მოიცურა, ან კლდის ნაპრალში სადმე ჩაიჩეხა? იქნება ფეხი დაუსხლტა სადმე და კოჭი იღრძო?... თუ ეს მართალია, ეხლა ის თოვლზე ეგდება გაშოტილი, მძაფრის სიცივით შეპყრობილი, გაყინული და გათოშილი. ვინ იცის, იქნება სასოება მიხდილია და მისი არსება განწირულებით აღსავსეჰ, გრძნობს, რომ ეს არის დაიღუპეო; მეძახის, მიშველეო, მეძახის, რაც ძალი და ღონე აქვს და მისი ძახილი უპასუხოდა რჩება ამ ჩუმს, ამ ყრუ ღამეში!? მაგრამ როგორ გავიგო, სად არის კასპარი? მთა ასე დიდია, ასე დაღრეშილია და საშიში ამ დროს! საჭიროა ათი და ოცი გამოცდილი, მთაში ნასიარულევი, რომ ერთს კვირას იარონ, და მაშინაც-კი, ღმერთმა იცის, იპოვნიან თუ არა კაცს ამ უდაბნოში.

მაინც ულრიხმა გადასწყვიტა, რომ წავალ, წავიყვან სამს და მოვძებნი კასპარს, თუ შუა-ღამემდე არ დაბრუნდაო. მაშინვე შეუდგა მზადებას.

ჩააწყო გუდაში ორის დღის სამყოფი საჭმელი, დაამზადა ფოლადის კაუები, შემოირტყა წელზე გრძელი, წვრილი და მაგარი თოკი, გაუსინჯა რკინის წვერი თავის ჯოხს და მოიმარჯვა წერაქვი. ყოველივე ეს დაამზადა და დაუწყო ცდა შუა-ღამეს. ცეცხლი გიზგიზებდა ბუხარში; უზარმაზარი სამი ტკბილად ხვრინავდა, იქვე ბუხარ წინ გაშხლართული. კედლის საათს გაჰქონდა კაკა-კუკი თავის ხის ყუთში, თითქო ვისიმე გულის ცემა ისმისო...

ულრიხი იცდიდა და იყო ლოდინში; თან ყურს უგდებდა, გარედ ხომ არა ისმის-რაო და უნებურად შეხტებოდა ხოლმე, როცა მძაფრი ქარი გაიზუზუნებდა და გადაიქროლებდა სახლის ბანზე.

შუა-ღამე შესრულდა. ყმაწვილი კაცი კვლავ შეხტა და შეკრთა. რაკი შეატყო თავსა, რომ შინაგანი სიცივე ჰყინავს, ყავადანი მიდგა ცეცხლთან. წასვლის წინად ცხელს ყავას დავლევ, გამათბობს კიდეც, ყუათსაც მომცემს და უფრო აღარ შევუშინდები ძნელს გზასაო.

ჯერ საათს პირველი არ დაეკრა, რომ ულრიხი ადგა, გაალვიძა სამი, გაიხურა კარი და სამთან ერთად გასწია ვილდშტრუბელისაკენ.

გრ. ყ—ძე

(შემდეგი იქნება)

# დეპეშა

5 ნოემბერი

ხარკოვი. ორიოლის ბანკის საქმის გამო ჯერ-ჯერობით მოწმები მოუწოდებიათ საკითხველად. იმათის ჩვენებიდგან სჩანს, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდა ბანკი და რა გავლენა ჰქონდა მასზე ავილოვს. აღმოჩნდა აგრეთვე, რომ ისინი, რომელნიც არაფრის პატრონნი არა ყოფილან, ანაღდებდნენ ვექსილებს ათ-ათ ათასს მანეთობით. სულ უკითხავთ 18 მოწამესათვის; კიდევ დარჩენილა 80.

კოპენჰაგენი. ხელმწიფე იმპერატორი უავგუსტოესს სახლ ობითურთ და პრინცესსა უელსისა წავიდნენ დღეს აქედგან ნაშუადღევს, 2½ საათზე. დიდებული სტუმრები გააცილეს მეფე ხრისტიანმა, მემკვიდრე პრინცმა, მინისტრმა და სადიპლომატიო კორპუსმა.

ბერლინი. ნამდვილად ცნობილია, რომ ხელმწიფე იმპერატორი მობრძანდება დილის ათს საათზე, ვოგზალზე დაესწრობიან პრუსიის უველა პრინცები და პრინცესები; უავგუსტოესნი კაცნი, გენერალი და ფლიგელ-ადიუტანტი და სხვანი, დანიშნულნი საპატიო მისაგებებლად. იმპერატორი ვილჰელმი, თუ შეიწყნარებს ხელმწიფე იმპერატორის სურვილს, ვოგზალზე არ წავა, არამედ ინახულებს უავგუსტოესს მოგზაურს, მივლენ თუ არა იგინი რუსეთის საელჩოში. ამას გარდა რუსეთის საელჩოში მათ იმპერატორებით უდიდებულესობათა სალამს მიართმევენ ამ ჟამად ბერლინში მყოფი პრინცესები არა-პრუსიელნი. მათნი უდიდებულესობანი, როცა მათ იმპერატორი ვილჰელმი ინახულებს, წაბრძანდებიან იმპერატორის სასახლეში და შემდეგ ინახულებენ ბერლინში მყოფთ პრინცებსა და მთავრებსა. ნაშუადღევს, 1-ს საათზე ისაუზმებენ საელჩოში; ხუთს საათზე ისადილებენ იმპერატორის სასახლეში. სადილად მიპატიჟებულია 90—100 კაცი. საუფლის-წულო წარმოდგენის მაგიერ, რომელიც გადადებულ იქმნა ხელმწიფე იმპერატორის სურვილისამებრ, იმპერატორთან ჩაის მიირთმევენ შინაურულად. რუსეთში წამობრძანდებიან, როგორც ამბობენ, საღამოს 11-ს საათზე პოტსდამის რკინის გზის სადგურიდგან; მაგრამ შეიძლება ეს წესი შეცვლილ იქმნას იმპერატორმა ვილჰელმა ისურვა აგრეთვე, ხელმწიფე იმპერატორის უმცროს შვილების ნახვა. შესაძლებელია, ისინიც ბერლინში მიბრძანდნენ.

პეტერბურგის ბირჟა, 3-ს ნოემბერს.
ფ ა ს ე ბ ი:

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — » | — » | 9 3 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — » | — » | 180 |
| მანათიანი ვერცხლის ფული. . . . . . . | — » | — » | 1 32 |
| 5% პირველის შინაგანის სესხ. ს მომგები ბილეთი . . . . . . | — » | — » | 264 |
| — მეორისა . . . . | — » | — » | 240 |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა. . | — » | — » | — » |
| ქუთაისის ბანკისა . . | — » | — » | — » |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . . , . | — » | — » | — » |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ (1887) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ 7395.
ძველი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქრონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქრონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1887 წლის ზედ-ნადები—14.

ნოემბერი 30 დღით არის

7 დღე შაბათი. მოწ. იერონისა და ქირისისა ლაზარე საკვირველ-მოქმედისა. სომეხ. წმ. მთავარ-ანგელოზ გაბრიელისა, მიქაელისა და ყოველთა ზეციერ ძალთა. მუსულ. მე-5 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა დღე 11—46. ტფილისში მზე ამოდის 6—54, ჩადის 4—37. მთვარე 5 დღისაა.

8 დღე კვირა. კრება წმ. მთავარ-ანგელოზ მიხეილისა და ყოველთა ზეციერ ძალთა. სომეხ. მე-9 კვირა ამაღლებიდგან. ქორწინებათა ნება ეძლევათ. მუსულ. მე-6 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—გაიმართა ტფილისში ახალი საქალაქო სამკურნალო, 1868 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—46. ტფილისში მზე ამოდის 6—55, ჩადის 4—36. მთვარე 6 დღისაა.

9 დღე ორშაბათი. წმ. მოწ. ონისიფორესი და პორფირისა. კათოლ. მაცხოვარის ეკკლესიის კურთხევა. სომეხ. წმ. მელიტონსი, მინასი და სხ. მუსულ. მე-7 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—46. ტფილისში მზე ამოდის 6—56, ჩადის 4—36. მთვარე 7 დღისაა.

10 დღე სამშაბათი. წმ. მოციქ. ერასტისა, კუარტასი და სხ. კათოლ. წმ. აღმსაარ. ანდრია აველინელისა. სომეხ. წმ. დიმიტრისა და მოწ. ვასილისკესი. მუსულ მე-8 დღე თვისა რები-ულ-ევველისა, 1305. წ. ჰიჯრისა. გარდაიცვალა მე-11 იმამი ჰასან-ასკიარი (შიიტ.).—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—46. ტფილისში მზე ამოდის 6—57, ჩადის 4—35. მთვარე 8 დღისაა.

11 დღე ოთხშაბათი. წმ. მინასი და სხ. კათოლ. წმ. მოწ. ეპისკ. მარტინასი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-9 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—46. ტფილისში მზე ამოდის 6—58, ჩადის 4—34. მთვარე 9 დღისაა.

12 დღე ხუთშაბათი. წმ. იოანნე მოწყალესი და ღირსისა ნილოსი. კათ. წმ. მოწ. ხუთთა ძმათა. სომხ. წმ. გურიასი, სამუნისა, აბიბოსი და სხ. მუსულ. მე-10 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ქ. ერევანში შემოღებულ იქმნა საქალაქო დებულება, 1877.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—46. ტფილისში მზე ამოდის 6—59, ჩადის 4—34. მთვარე 10 დღისაა.

13 დღე პარასკევი. წმ. იოანე ოქროპირისა და წმ. მოწ. ანტონისა. კათოლ. წმ. აღმს. სტანისლავა კოსტკასი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-11 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—სტავროპოლში დაარსდა სასულიერო სემინარია, 1846 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—47. ტფილისში მზე ამოდის 7—0, ჩადის 4—34. მთვარე 11 დღისაა.

14 დღე შაბათი. წმ. მოციქ. ფილიპესი და იუსტინიანე მეფისა. აღების ღამე შობის მარხვისა. კათოლ. წმ. მოწ. პაპა მარტინესი. სომეხ. მოციქ. ანდრიასი და ფილიპესი. მუსულ. მე-12 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა. დაბადება და გარდაცვლა წინასწარ-მეტყველისა მაჰმედისა (სუნიტ.).—დაბადება მისის დიდებულების იმპერატორის მეუღლის მარია თევდორეს ასულისა, 1847 წ.—ზაქათალაში გენ. გულიაკოვს ძეგლი აუგეს, 1845 წ.—თ. ანდრონიკაშვილმა გაიმარჯვა ოსმალებზე ახალციხესთან და გამარჯვებულს დარჩა ბანაკი მტრისა, 11 ზარბაზანი და მრავალი ქონება, 1853 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—47. ტფილისში მზე ამოდის 7—1, ჩადის 4—33. მთვარე 12 დღისაა.

15 დღე კვირა. წმ. გურიასი, სამონისა და აბიბოსი. დაწყება შობის მარხვისა. კათოლ. წმ. ქალწ. გერტრუდასი. სომეხ. აღების ღამე ჰისნაკის მარხვისა. მუსულ. მე-13 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—48. ტფილისში მზე ამოდის 7—2, ჩადის 4—32. მთვარე 13 დღისაა.

16 დღე ორშაბათი. წმ. მოციქულ-მახარებელ მათესი. კათოლ. წმ. აღმსარ. დიდაკასი. მუსულ. მე-14 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—48. ტფილისში მზე ამოდის 7—3, ჩადის 4—32. მთვარე 14 დღისაა.

17 დღე სამშაბათი. წმ. გრიგოლ საკვირველ-მოქმედისა, მოწ. გობრონისა და 133 სხ. კათოლ. ქალწ. მოწ. დედოფ. სალომეისა. მუსულ. მე-15 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა. სიკვდილი ეზიდასი.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—49. ტფილისში მზე ამოდის 7—5, ჩადის 4—31. მთვარე 15 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი
1 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ს ხარისხისა | 3 | » |
| » 2 » | 2½ | » |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | » |
| » » 2— | 3½ | » |
| » » 3 » | 3 | » |
| ძროხის მკის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა | 5 | » |
| მე-2 ხარისხისა | 4 | » |
| მე-3 — | | » |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა | 7 | » |
| » 2 » | 6 | » |
| სუკი | 13 | » |
| ცხვრის ხორცი | 7 | » |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა | 7 | » |
| » 2 » | 6 | » |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესადამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. როგორც გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საკარანტინო სიდასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდამ განაწესებულს დღეზე გემები.

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანაოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## კერძო განცხადებანი

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარია და წიგნთ-საცავი ღიაა ყოველ-დღე 11—2 საათამდე შუა-დღის უკან; ხოლო კვირა-უქმეობით 12—1 საათამდე

ქართული სალმრთო წიგნთ-საკითხავი, რომელიც იმყოფება ბარის ქუჩაზე, იარმუკის ბოლოში, მე-14 №-ში, ღიაა ყოველ-დღე ნაშუადღევის 4 საათიდამ 9 საათამდე. წიგნთ-საკითხავში შესვლა და წიგნების იქვე კითხვა, თუ გარედ წაღება, შეუძლიან ყველა წოდების კაცს. წიგნის კითხვისათვის არავის არავითარი ფასი არ გამოერთმევა.


საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ი ვ ე რ ი ა“

1888 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფ ა ს ი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით . . . | 10 მ. — კ. | 6 თვით . . . | 6 მ. — კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 » | 5 „ . . . | 5 „ 25 » |
| 10 „ . . . | 8 „ 75 » | 4 „ . . . | 4 „ 75 » |
| 9 „ . . . | 8 „ — » | 3 „ . . . | 3 „ 50 » |
| 8 „ . . . | 7 „ 25 » | 2 „ . . . | 2 „ 75 » |
| 7 „ . . . | 6 „ 50 » | 1 „ . . . | 1 „ 50 » |

საზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:
*Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.*

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი —60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალ იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.



ვენის მაღაზია

გოლოვინის პროსპექტი, სახლი მდივანისა, 1-ლ კლასიკურის გიმნაზიის პირდაპირ.

მაქვს პატივი განვუცხადო პატივცემულს საზოგადოებას, რომ ამ დღეებში მივიღე დიდ-ძალი მზა-მზარეული ტანისამოსი მამა-კაცთა და პატარა ყმაწვილებისათვის. ტანისამოსები საზამთროა და საშემოდგომო, შეკერილია უკანასკნელს მოდაზე. ფასი ტანისამოსებისა ზომიერია და ყველასათვის ხელ-მისაწვდომი.

გ. ხუდავერდიანცი

(10—4)



МАГАЗИНЪ
ТОРГОВАГО ДОМА
НИКОЛАЯ РОЖНОВА СЫНОВЬЯ
ВЪ МОСКВѢ
Никольская, Богоявленскій переулокъ.
ФИРМА СУЩЕСТВУЕТЪ СЪ 1820 ГОДА.
Имѣетъ въ большомъ выборѣ и лучшаго достоинства:
Ленты, кружева, шелкъ, перчатки, мужскія сорочки, разную шерсть, льняную нитку, бумагу чулочную, швейную и на катушкахъ и разные игольные, галантерейные и крестьянскіе товары.
Каталоги магазина высылаются по требованію безплатно.
(10—3)


Дов. цен. Тиф. 6 ноября, 1887 г, Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Гол. Проспектъ д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.